

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“გ ა მ ტ ა ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი ზურაბ ბუცხრიკიძე

„27“ 11 „ 2013 წელი

ეგზ. № 2

ჭიათურის მუნიციპალიტეტის
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 61/00
01.01.2010-01.01.2013

2013 წელი

სარჩევი

შესავალი	3
აუდიტის ძირითადი მიზანი	3
ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ:	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	7
ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები	7
მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება.....	11
სატენდერო კომისიის საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებები	12
დაგვა - დასუფთავება	12
შადრევნის მოწყობა	15
საყრდენი კედლების აღდგენა	15
ინსპექტირების ჯგუფის მუშაობაში გამოვლენილი დარღვევები	16
გზის კაპიტალური შეკეთება.....	17
მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა.....	19
გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.....	19
შპს „არნაბი-21“	21
შპს „ავტობანი“	23
საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	25
სანიაღვრე არხების გაწმენდა	26
მინი სპორტული მოედნების მოწყობა.....	26
საგზაო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები	27
მასშტაბის შეზღუდვა	28
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	28
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	29
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	29

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითადი მიზნებია:

- ა) 2010-2012 წლებში ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ფინანსური სახსრების მართვისა და ხარჯვის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვება;
- ბ) ქიათურის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების კანონშესაბამისობაზე დასკვნის გაცემა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ქიათურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით აუდიტორებს მოეთხოვებათ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ქიათურის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ:

ჭიათურის მუნიციპალიტეტი


მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ფართობია 542 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა 2010 წლის მონაცემებით შეადგენს 55 ათას ადამიანს. მუნიციპალიტეტში შექმნილია შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები:

- 1 ქალაქი - ჭიათურა
- 13 თემი - გეზრული, ვაჭევი, ზოდი, ითხვისი, კაცხი, მანდაეთი, ნიგოზეთი, პერევისა, სარქველთუბანი, სვერი, ქვაციხე, წირქვალი, ხვაშითი
- 2 სოფელი - რგანი, ხრეითი

მუნიციპალიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო. მუნიციპალიტეტის საკრებულოში 26 წევრია. 10 წევრი აირჩევა პროპორციული სიით, ხოლო 16 - შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულებიდან მაჟორიტარული წესით.

2010-2012 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონაცემები.



ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შემოსულობების ნაწილში შეადგინა: 2010 წელს - 7 146,8 ათასი ლარი; 2011 წელს - 9 146,6 ათასი ლარი; 2012 წელს - 21 066,6 ათასი ლარი; მათ შორის შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:


(ათას ლარი)

დასახელება	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი
შემოსავლები	7126,7	9102,3	20947,5
გადასახადები	1589,8	1582,0	1389,3
გრანტები	4867,8	6841,7	18435,3
სხვა შემოსავლები	669,1	678,7	1122,9
არაფინანსური აქტივების კლება	20,1	44,2	119,1

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, რომელიც მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 70-80 %-ს შეადგენს.

2010-2012 წლებში ტრანსფერები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:


(ათასი ლარი)



2010-2012 წლებში გამოყოფილი ტრანსფერებიდან გამოთანაბრებით ტრანსფერზე მოდის 45%; სპეც. ტრანსფერზე - 53% და მიზნობრივ ტრანსფერზე - 2%.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წლიური საკასო ხარჯები 2010-2012 წლებში

(ათასი ლარი)



გადასახდელების ნაწილში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტმა შეადგინა: 2010 წელს - 7 431,5 ათასი ლარი; 2011 წელს - 8 650,9 ათასი ლარი; 2012 წელს - 19 425,6 ათასი ლარი; რაც შეეხება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდას წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი
------------	-----------	-----------	-----------

ხარჯები	4569,5	7040,7	13178,8
შრომის ანაზღაურება	950,9	1020,4	1241,6
საქონელი და მომსახურება	663,4	735,1	925,4
პროცენტი	2,3	0	0
სუბსიდიები	2677,1	3799,3	4457,8
გრანტები	0	1200	1670
სოც.უზრუნველყოფა	275,8	285,9	4884
არაფინანსური აქტივების ზრდა	2857,4	1610,1	6246,8
ვალდებულებების კლება	4,6	0	0

სააუდიტო პერიოდში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების დინამიკა მზარდია. რაც ძირითადად განპირობებულია შემოსავლებში გრანტების მუხლის ზრდით. აგრეთვე გაზრდილია, როგორც სხვა შემოსავლები, ისე არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები და შემცირებულია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები. ხარჯებში კი გაზრდილია სუბსიდიები, სოც. უზრუნველყოფა და არაფინანსური აქტივების ზრდა.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, ჭიათურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის¹ ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვისა და ხარჯვის მიზნით:

❖ საკრებულომ არ გაითვალისწინა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები², რის გამოც ადგილობრივი ბიუჯეტის ბოლო ცვლილებაში³ ასახული

¹ საქართველოს პრემიერ-მინისტრის №1162 ბრძანებით ჭიათურის მუნიციპალიტეტს 2012 30 ივლისს გამოიყო 3400 ლარი, რომლებიც საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხათ 2012 წლის 2 აგვისტოს.

არ არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით გამოყოფილი 3400 ათასი ლარი, მაგრამ ეს თანხა გათვალისწინებულია საკრებულოს მიერ 2013 წლის 1 მარტს დამტკიცებულ 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის როგორც შემოსულობებში, ასევე საკასო ხარჯებში⁴.

❖ მუნიციპალიტეტს არ განუსაზღვრავს დახმარებების გაცემის წესი და თანხები ნაწილობრივ არამიზნობრივად იქნა გამოყენებული.

საქართველოს პრემიერ მინისტრის 2012 წლის 30 ივნისის №1162 ბრძანებით ჭიათურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 3 400 ათასი ლარის ბიუჯეტში ასახვის მიზნით, გამგეობამ საპარლამენტო არჩევნების დამთავრების შემდგომ, 2012 წლის 26 ოქტომბერს მიმართა საკრებულოს და მოითხოვა შესაბამისი ცვლილების შეტანა, მაგრამ საკრებულომ უარი თქვა მათ ბიუჯეტში ასახვაზე, რომლის მოტივად მოიყვანეს ის გარემოება რომ არ იყვნენ ინფორმირებული აღნიშნული თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ თანხიდან 1806,1 ათასი ლარი უკვე გახარჯული იყო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით გამოყოფილი თანხა უნდა მოხმარებოდა მიწისძვრით დაზიანებულ ინფრასტრუქტურის აღდგენასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, აგრეთვე დაზარალებული მოსახლეობის ფულად კომპენსაციებს და სურსათით უზრუნველყოფას. აღნიშნული თანხიდან 1806,1 ათასი ლარი⁵ მოხმარდა მოსახლეობისათვის სამშენებლო მასალებისა და სურსათის შეძენას, მათ ტრანსპორტირებას, დატვირთვა-გადმოტვირთვას და მოსახლეობამდე

² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასხდელებიდან გამოყოფილი თანხების ასხვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს. მე-5 ნაწილის თანახმად კი გათვალისწინებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

³ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 20 ნოემბრის №27 დადგენილებით დამტკიცდა ბიუჯეტის ბოლო ცვლილება.

⁴ 2013 წლის 1 მარტს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №17 განკარგულებით დამტკიცდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

⁵ 2012 წლის ბიუჯეტის ბალანსში ეს თანხები ნაჩვენებია სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში (ორგანიზაციული კოდი 08 07)-1991 და 2008 წლებში მომხდარი მიწისძვრების შედეგად დაზარალებული პირველი და მეორე კატეგორიის დაზარალებული მოსახლეობის სასაქონლო ფორმით დახმარებაში.

გადაზიდვას. აუთვისებელი დარჩა 1593,9 ათასი ლარი, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა წლის ბოლოსათვის.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტს არ განუსაზღვრავს დახმარების გაცემის წესი, აგრეთვე რა კატეგორიის ოჯახებს ან პიროვნებებს უნდა მიეღოს ეს დახმარება და რა რაოდენობით. არც რაიმე კომისია შექმნილა, რომელიც დაადგენდა დახმარების მიმღებთა კატეგორიას, პასუხისმგებელი იქნებოდა მათ სწორ განაწილება-გაცემასა და აღრიცხვაზე. გამოყოფილი თანხიდან შეძენილი 1706,7 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები (ცემენტი, შიფერი) და კვების პროდუქტები (ფქვილი, ვერმიშელი, შაქარი, ზეთი) 2012 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების მეშვეობით დაურიგდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობას. ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი დაზარალებულთა სიები, შეუძლებელი ხდება ამ თანხების მიზნობრივად გამოყენების განსაზღვრა. რწმუნებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დახმარებები ოჯახების მიხედვით განაწილდა არათანაბარი ოდენობით, ასევე იყო შემთხვევები, როდესაც დახმარებები მიიღეს: ერთი ოჯახის წევრებმა (მეუღლეებმა, მამა-შვილმა, დედმამიშვილებმა და სხვ.) ცალ-ცალკე, პირადობის მოწმობის მონაცემების გათვალისწინებით, ერთმა და იმავე პიროვნებამ - ორ-სამჯერ, ხოლო ცალკეულ ოჯახებს საერთოდ არ მიუღიათ. რწმუნებულების მიერ დახმარების გაცემაზე შედგენილია უწყისები სხვადასხვა ფორმით, რომელთა უმეტესობა ზუსტად ვერ ასახავს თითოეულ პიროვნებაზე გაცემული დახმარებების ფაქტობრივ ოდენობას. კერძოდ: ზოგიერთ მათგანზე მითითებულია მხოლოდ მიმღების სახელი და გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი და ამ პიროვნების ხელმოწერა, თუმცა ხელმოწერით დადასტურებული არ არის მიღებული დახმარების სახეობა და რაოდენობა. უწყისის თავში ან ბოლოში რწმუნებულების მიერ არის გაკეთებული მინაწერი, სადაც ნაჩვენებია მასში ჩამოთვლილ პიროვნებებზე მთლიანად გაცემული დახმარებების

ჯამური რაოდენობა, სახეობების მიხედვით. უწყისების გარკვეულ ნაწილზე მიწერილი არ არის მათი შედგენის თარიღი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზემოთ აღნიშნული ბრძანებით ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებით შესაძენი საქონლის (სამშენებლო მასალები, პროდუქტები.) ტრანსპორტირებისათვის, დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის და მოსახლეობამდე გადაზიდვისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და ა(ა)იპ „ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრს“ შორის 2012 წლის 1 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ 100 ათასი ლარი შეადგინა. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 1 სექტემბრამდე. მიმწოდებელს მომსახურების გაწევისათვის ფაქტიურად აუნაზღაურდა 98,7 ათასი ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულება იურიდიულად არ არის გამართული და მას არ ახლავს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, სადაც ნაჩვენებია იქნებოდა შესასრულებელი მომსახურების ფასები მათი სახეობებისა და მოცულობების მიხედვით, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ზუსტად დადგენილიყო მათ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 1 სექტემბრამდე, თუმცა მომსახურება განხორციელებულია შემდგომ პერიოდშიც. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის თავიდანვე არასწორად განსაზღვრას ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტმა პროდუქტების შეძენაზე მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადები განსაზღვრა 1 ოქტომბრამდე. შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით, პროდუქტების გარკვეული ნაწილი შეძენილია სექტემბერში და მომსახურების გაწევის სახელშეკრულებო ვადების დარღვევა გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით, რომელმაც დროულად არ იზრუნა მომსახურების ვადის გადაწევაზე.

ა(ა)იპ „ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრზე“ საბანკო გარანტიის გარეშე ავანსის სახით გაცემულია 50 ათასი ლარი,

ხელშეკრულების მე-6.4 მუხლის საფუძველზე, თუმცა ხელშეკრულების პირობებში ასეთი მუხლი შეტანილი საერთოდ არ არის.

მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ საკუთრება უფლება აღიარებული მიწებიდან გადასახადი არასწორ სახაზინო კოდეზზეა შეტანილი, რის გამოც ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი 23 ათასი ლარი მიმართულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში.

2010-2012 წლებში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ინფორმაციით, საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობამ 48,1 ათასი ლარი შეადგინა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, შემოსულობა მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებიდან 100%-ით უნდა ჩარიცხულიყო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში⁶. დაინტერესებულ პირებს აღნიშნული შემოსულობა შეტანილი აქვთ სხვა სახაზინო კოდეზზე, რის გამოც ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი თანხები გადანაწილებულია სახელმწიფო ბიუჯეტში. კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეტანილია 3388 სახაზინო კოდეზზე, რომელიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ნაწილდება თანაბრად. ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეტანილია 3391 სახაზინო კოდეზზე, რომელიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის

⁶ ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდეზის დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანების შესაბამისად მიწაზე უფლების აღიარებიდან შემოსულობის სახაზინო კოდეზი 3395.

ნაწილდება 35-65%-ული თანაფარდობით. შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი 23 ათასი ლარი მიმართულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში.

სატენდერო კომისიის საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებები

ჭიათურის მუნიციპალიტეტში შექმნილი სატენდერო კომისიების საქმიანობაში ცალკეულ შემთხვევაში არის ხარვეზები და ნაკლოვანებები, კერძოდ:

- ✓ სწორად არ არის განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება.

- ✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია არასრულყოფილად.

- ✓ პროტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტები შეიცავს არსებით უზუსტობებს და მათში დაშვებული მექანიკური შეცდომები არ არის გასწორებული.

- ✓ კომისიის შედგენილ ოქმებში არასწორადაა დაფიქსირებული პროტენდენტების მიერ შეთავაზებული სატენდერო წინადადების ღირებულებები.

- ✓ სატენდერო წინადადების შეფასებისას, პრიორიტეტულობის კოეფიციენტის მიხედვით, ქულების მინიჭების დროს სრულფასოვნად არ არის გათვალისწინებული პროტენდენტების მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაციები.

- ✓ პროტენდენტის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადების ღირებულებაში არ ჩანს ტენდერის პირობების მოთხოვნის შესაბამისად მასში გათვალისწინებულია თუ არა დღ.

დაგვა - დასუფთავება

ქალაქ ჭიათურის დაგვა-დასუფთავებაზე, ურნებისა და ბუნკერების დაცლა-გაზიდვასა და ქუჩების მორწყვის მომსახურების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს

„საპროექტოს“. საპროექტო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 10 თვის განმავლობაში შესასყიდი მომსახურების სავარაუდო ღირებულებამ 148,5 ათასი ლარი შეადგინა.

აღნიშნული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 2010 წლის 27 თებერვალს სატენდერო განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“, თუმცა ტენდერის პირობები ითვალისწინებდა 9-თვიან მომსახურების ვადას, ამიტომ სატენდერო კომისიას, შესაბამისად, უნდა შეემცირებინა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება; ამასთან, საპროექტო ორგანიზაციის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში ჩამოთვლილი მომსახურებიდან, ტენდერის პირობებში გათვალისწინებული არ არის 18,9 ათასი ლარის ღირებულების სკვერების დაგვა-დასუფთავების მომსახურება. ამ მონაცემების გათვალისწინებით, კომისიის მიერ გამოცხადებული შესასყიდი ობიექტის სავარაუდო ღირებულება 148,5 ათასი ლარის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 116,6 ათასი ლარი, ანუ 31.9 ათასი ლარით ნაკლები.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. სატენდერო კომისიის ოქმის თანახმად, სატენდერო წინადადების ღირებულებები წარმოადგინეს: შპს „ჭიათურსერვისმა“- 138,2 ათასი ლარი, შპს „ჯეო-ქლინმა“ კი-139,0 ათასი ლარი, მაგრამ პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხარჯთაღრიცხვების გათვალისწინებით, კომისიამ არასწორად⁷, მიუთითა ეს მონაცემები. სატენდერო წინადადების საბოლოო ღირებულება კომისიას შპს „ჭიათურსერვისმა“ შესთავაზა - 128,5 ათასი ლარი. შპს „ჯეო-ქლინმა“ კი უფრო დაბალი - 128,1 ათასი ლარი, რომელიც 11,4 ათასი ლარით აღემატება ამ საქმიანობისათვის საპროექტოს მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამის მონაცემებს.

შპს „საპროექტოს“ შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში დაშვებული აქვს უხეში შეცდომა, კერძოდ, ქუჩებისა და მოედნების მორწყვის სამუშაოებზე მოსარწყავი ფართობის მთლიანი მოცულობა თვის განმავლობაში მითითებული აქვთ 3 000

⁷ სატენდერო კომისიამ ოქმში შპს „ჯეო-ქლინს“ მიუთითა შპს „ჭიათურსერვისის“ ფასი და შპს „ჭიათურსერვისს“ შპს „ჯეოქლინის“ ფასი.

ათასი კვ.მ, მაშინ, როცა მოსარწყავი ფართობის გამრავლებით მოსარწყავი დღეების რაოდენობაზე და დღეში მათ ჯერადობაზე მოსარწყავი ობიექტის მთლიანი ფართობი სულ იქნებოდა 300 ათასი კვ.მ, ანუ 10-ჯერ ნაკლები. ამ შეცდომამ ასახვა პოვა პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციაში. შპს „ჯეო-ქლინმა“ ერთეულის ფასი მიუთითა 0,0078 ლარი და მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 2,4 ათასი ლარი, ხოლო შპს „ჭიათურსერვისმა“ მიუთითა 0,002 ლარი და მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 6,1 ათასი ლარი, ანუ 4-ჯერ ნაკლები ერთეულის ფასის მქონე პრეტენდენტის ღირებულება გამოვიდა 3,7 ათასი ლარით მეტი. სატენდერო კომისიას, სატენდერო წინადადების შერჩევის დროს, უნდა შეემოწმებინა პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაერკვია, რატომ ჰქონდათ დაფიქსირებული სხვადასხვა მოცულობები, შეედარებინა ის სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამის პარამეტრებთან და მიეცა მათთვის მექანიკური შეცდომის გასწორების საშუალება. ამის შემდეგ, თუკი ვაჭრობა შეწყდებოდა სატენდერო წინადადების დაბალი ფასის მქონედ შპს „ჭიათურსერვისი“ უნდა დაეფიქსირებინათ.

საბაზისო მონაცემთა ნუსხის მიხედვით, სატენდერო წინადადების შეფასების პრიორიტეტულობის კოეფიციენტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებდა: ღირებულებას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასა და ანალოგიურ საქმიანობაზე გამოცდილებას. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სატენდერო წინადადების შესაფასებლად ღირებულების გარდა დარჩენილ ორ კომპონენტზე შპს „ჭიათურსერვისს“ შპს „ჯეო-ქლინზე“ ნაკლები მონაცემები არ ჰქონდა, სხდომაში მონაწილე სატენდერო კომისიის რვავე წევრმა უპირატესობა შპს „ჯეო-ქლინს“ მიაკუთვნეს და გამოცხადდა ტენდერში გამარჯვებულად.

შადრევნის მოწყობა

ქალაქ ჭიათურაში, თხელიძის ქუჩაზე, შადრევნის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 11 ნოემბერს გამართულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. ძირითად დროში სატენდერო წინადადების ფასი შპს „აქვა ტექნიკალ სისტემსმა“ დააფიქსირა 67,9 ათასი ლარი, შპს „თბილმშენ ინტერ სერვისმა“ კი შესთავაზა 67,3 ათასი ლარი. ვაჭრობის შემდეგი რაუნდები აღარ გამართულა და შესაბამისად გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „თბილმშენ ინტერ სერვისი.“

მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილმშენ ინტერ სერვისს“ შორის, 2011 წლის 21 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება თხელიძის ქუჩაზე შადრევნის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ 67.3 ათასი ლარი შეადგინა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რადგან შპს „თბილმშენ ინტერ სერვისს“ შადრევნების მოწყობის გამოცდილება არ ჰქონდა, ამიტომ ამ ხელშეკრულების დადებამდე, ანუ 2011 წლის 16 ნოემბერს გააფორმა ხელშეკრულება ტენდერში მონაწილე კონკურენტთან, შპს „აქვა ტექნიკალ სისტემსთან“, რომლის მიხედვით ქალაქ ჭიათურაში შადრევნის სისტემის მიწოდებისა და მონტაჟის მთლიანმა ღირებულებამ 48 ათასი ლარი შეადგინა (აღნიშნულ ხელშეკრულებას არ ახლავს შესაბამისი ღირებულების ხარჯთაღრიცხვა).

გამარჯვებული პრეტენდენტის სახელშეკრულებო თანხასა და ქვეკონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულების ღირებულებას შორის სხვაობამ შეადგინა 19,3 ათასი ლარი.

საყრდენი კედლების აღდგენა

ქალაქის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების აღდგენაზე მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა 2011 წლის 14 ივნისს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ 90,5 ათასი ლარი შეადგინა. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი

უნდა ყოფილიყო დღგ-ის გათვალისწინებით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. შპს „სანდრიკა 2008“-მ საბოლოო ფასი დააფიქსირა - 72,2 ათასი ლარი, ხოლო ი/მ მაღხაზ ხვედელიძემ - 72,1 ათასი ლარი და გაიმარჯვა ტენდერში, აღნიშნული თანხა სრულად იქნა ანაზღაურებული. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პირველმა პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისად, დღგ-ის გათვალისწინებით, ხოლო მეორე პრეტენდენტმა არასწორად- დღგ-ის გარეშე. ყოველივე ეს არ დააზუსტა სატენდერო კომისიამ და ისე გამოავლინა ტენდერში გამარჯვებული⁸. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად ქიათურის მუნიციპალიტეტს უფლება ჰქონდა ტენდერი გამოეცხადებინა როგორც დღგ-ის გათვალისწინებით, ისე-მის გარეშე. „დღგ-ის გარეშე ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებისას ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად“. იმ შემთხვევაში თუ ქიათურის მუნიციპალიტეტი ტენდერს გამოაცხადებდა დღგ-ის გარეშე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ფინანსური სახსრები უფრო რაციონალურად დაიხარჯებოდა და ბიუჯეტი დამატებით სარგებელს მიიღებდა.

ინსპექტირების ჯგუფის მუშაობაში გამოვლენილი დარღვევები

სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტში ჯერ გამგებლის, ხოლო შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებებით შეიქმნა

⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სატენდერო განცხადებაში სხვა მონაცემებთან ერთად უნდა მიეთითოს წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს დღგ-ის გადასახადის გათვალისწინებით თუ მის გარეშე. მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო განცხადებით გათვალისწინებულია წინადადების ფასის დღგ-ის გარეშე წარდგენა, პრეტენდენტის წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი. ასეთ შემთხვევაში შერჩევა-შეფასება ხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი.

ინსპექტირების ჯგუფები, მაგრამ ინსპექტირებას ცალკეულ შემთხვევებში ფორმალური ხასიათი აქვს და მათ საქმიანობაში შეინიშნება მნიშვნელოვანი დარღვევა-ნაკლოვანებანი. კერძოდ:

- ❖ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებისას, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მათ შესაბამისობას სახარჯთაღრიცხვო პარამეტრებთან, რის გამოც ადგილი ჰქონდა „მიმწოდებლის“ მხრიდან ერთეულის ფასების თვითნებურად გაზრდას, რიგი სამუშაოების შეუსრულებლობას ან მათი მოცულობების შემცირებას, ხოლო მათ ხარჯზე გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულებას.

- ❖ სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების ცვლილებებთან დაკავშირებით ხელშეკრულებებს არ ახლავს შესაბამისი წერილობითი შეთანხმებები.

- ❖ ინსპექტირების ჯგუფის წევრები მიღება-ჩაბარების აქტების ბოლოს აკეთებენ მინაწერს, რომ სამუშაოები შესრულებულია არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო პარამეტრების სრული დაცვით და შეუსაბამოების შემთხვევაში, რაიმე განმარტებას ან შენიშვნას არ აკეთებენ.

- ❖ არის შემთხვევები, როცა „მიმწოდებელი“ სამუშაოების დასრულებას ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და მათზე არ არის განხორციელებული სათანადო საჯარიმო სანქციები.

- ❖ ცალკეულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ღირებულებებს არ ახლავს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები.

გზის კაპიტალური შეკეთება

შპს „მონოლითმშენთან“ 2010 წლის 11 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სტალინის ქუჩაზე გზის სავალი ნაწილის კაპიტალურ შეკეთებაზე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო დაზიანებული ბეტონის გზის საფარის მონგრევა 5 სმ სისქით, 687 კვ.მ ფართობზე, ერთეულის ფასი 1 კვ.მ-ზე შეადგენდა 1,6 ლარს. შესრულებული სამუშაოს აქტში იგივე სამუშაოები ჩატარებულია 288 კვ.მ-ზე,

სადაც ერთეულის ფასმა 1,6 ლარის ნაცვლად 4 ლარი შეადგინა. ერთეულის ფასის გადიდებით შესრულებული სამუშაოს ღირებულება გაძვირდა 982 ლარით. რადგან მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაოს მოცულობა, შესაბამისად უნდა შემცირებულიყო მისი თანმხვედრი სამუშაოები, როგორებიცაა გზის სავალ ნაწილზე არსებული ზედმეტი გრუნტის გატანა და კომპრესორის მუშაობის ხანგრძლივობა, მაგრამ შესრულებული სამუშაოს აქტში მათი მოცულობები შემცირების ნაცვლად ზუსტად ემთხვევა სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვის ანალოგიურ მონაცემებს. ორმოების შესავსებად გათვალისწინებული იყო წვრილმარცვლოვანი ღორღი 7კუბ.მ, ერთეულის ფასით - 18 ლარი. შესრულებაში ნაჩვენებია 36 კუბ.მ გაზრდილი ერთეულის ფასით, რომელმაც 25 ლარი შეადგინა. ამას გარდა, შესრულებულია 18,5 ათასი ლარის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომელთაც ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა. სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, აბაშიძის ქუჩაზე ანალოგიური სამუშაოს ერთეული ფასი შეადგენდა 14 ლარს, სტალინის ქუჩაზე კი შესრულებული სამუშაოს აქტში ნაჩვენებია - 16 ლარი. შედეგად 1,5 ათასი ლარით გაძვირდა სამუშაოს ღირებულება. შესრულებულ სამუშაოებზე ერთეული ფასების გადიდებით, შპს „მონოლითმშენს ზედმეტად აქვს მიღებული“ 2,9 ათასი ლარი, რომლის ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნება მათთვის გამგეობას არ მოუთხოვია.

ჭიათურის გამგეობიდან დამატებით იქნა წარმოდგენილი სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვის ცვლილების აქტი, რომლის მიხედვითაც სტალინის ქუჩაზე შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ დარიცხვის გარეშე შეადგინა 24,1 ათასი ლარი, რაც ფაქტობრივად ემთხვევა შემსრულებლის მიერ შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის მონაცემებს, მაგრამ მასში მითითებული არ არის, თუ რამ გამოიწვია ერთეული ფასების გაზრდა, თავდაპირველი სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვის ფასებთან შედარებით.

მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა

ქალაქ ჭიათურაში ფასთა კოტირების საშუალებით განხორციელდა მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა ი/მ შოთა ჩუბინიძე, რომელთანაც 2010 წლის 22 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ 133,8 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა ხარჯთაღრიცხვაში მითითებული სამუშაოების მოცულობების ერთეულის ფასზე გამრავლებით, ობიექტის მთლიანი ღირებულება 128,1 ათას ლარს შეადგენდა. შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით, ი/მ შოთა ჩუბინიძეს შესრულებული აქვს 133,7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. ხარჯთაღრიცხვაში არასწორი გაანგარიშების შედეგად დაშვებული უზუსტობის გამოსწორების ნაცვლად, მან გაზარდა სახურავის მოწყობის სამუშაოების ღირებულება, რამაც 31,5 ათასი ლარის ნაცვლად შეადგინა 37,2 ათასი ლარი, ანუ 5,7 ათასი ლარით მეტი. აღნიშნული თანხის ადგილობრივ ბიუჯეტში დასაბრუნებლად გამგეობას არ გაუტარებია კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები

საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის განკარგულებების⁹ შესაბამისად გამოყოფილი თანხებით, ჭიათურა-რგანი-ხრეთისა და ჭიათურა-ცხრუკვეთის გზის საპროექტო, სარეაბილიტაციო და საზედამხედველო სამუშაოების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სამუშაოებისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ამ გზების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის ჭიათურის მუნიციპალიტეტმა შპს „კოქს კონსალტის საქართველოს

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის №13/07/06 განკარგულებით გამოყოფილი 790.0 ათასი ლარიდან 270.0 ათასი ლარი გათვალისწინებული იყო სოფელ ხრეთში გზის რეაბილიტაციისათვის. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 ივლისის №1453 განკარგულებით გამოიყო 3600.0 ათასი ლარი. სადანაც 2000.0 ათასი ლარი გათვალისწინებული იყო ჭიათურა-ხრეთის გზის საპროექტო, სარეაბილიტაციო და საზედამხედველო ხარჯებისათვის, ხოლო 1600.0 ათასი ლარი ანალოგიური საქმიანობისათვის გათვალისწინეს ჭიათურა-ცხრუკვეთის გზის მონაკვეთზე.

ფილიალთან“ 2012 წლის 1 აგვისტოს გააფორმა ხელშეკრულება, რომელშიც 2012 წლის 21 აგვისტოს შევიდა ცვლილება და ის შეეხო მხოლოდ ჭიათურა-რგანი-ხრეთის გზის 9,5 კმ-ს ნაცვლად შემოკლებული მონაკვეთის საპროექტო სამუშაოების დოკუმენტაციის მომზადებას. ფაქტობრივად, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგინეს ჭიათურა-რგანი-ხრეთის 4,055 კმ-ის გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. დარჩენილი გზის 5,4 კმ-ის მონაკვეთის (საუბნო გზა) სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვაზე 2012 წლის 17 სექტემბერს, ხელშეკრულება გაფორმდა შპს „საპროექტოსთან“. ამას გარდა, იმავე საპროექტოსთან, 2012 წლის 7 ნოემბერს გაფორმდა კიდევ ერთი ხელშეკრულება სოფელ ხრეთში იმავე საავტომობილო გზის (სიგრძით 1,6 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შპს „კოქს კონსალტის საქართველოს ფილიალმა“ საპროექტო და სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტს ჩასაბარებლად წარუდგინა 2012 წლის 10 სექტემბერს, ხოლო სრულყოფილი ხარჯთაღრიცხვა - 2012 წლის 12 ოქტომბერს. სახელშეკრულებო ვადის 41 დღით გადაცილებისათვის, შპს „კოქს კონსალტის საქართველოს ფილიალი“ დააჯარიმეს 2,54 ათასი ლარით.

რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ შპს „საპროექტოსთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ისინი ისედაც დაგვიანებით, ანუ 2012 წლის 1 აგვისტოს დაწყებულ სამუშაოებზე მხოლოდ 17 სექტემბერს და 7 ნოემბერს გაფორმდა.

2012 წლის 1 აგვისტოს, საპროექტო ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების პარალელურად, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად გამარტივებული შესყიდვით ჭიათურის მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულებები შპს „არნაბი-21“- თან და შპს „ავტობანთან“. ერთ დღეს, სამი ასეთი ხელშეკრულების გაფორმება თავიდანვე მიანიშნებდა იმ გარემოებაზე,

რომ სამშენებლო კომპანიებს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გარეშე უნდა დაეწყოთ.

შპს „არნაბი-21“

მუნიციპალიტეტსა და შპს „არნაბი-21“-ს შორის, 2012 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სოფელ რგანის ცენტრიდან სოფელ ხრეთის ბოლომდე 9,5 კმ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ხარჯთაღრიცხვაში განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ 2250,9 ათასი ლარი შეადგინა. შპს „არნაბი-21“-მა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ისე დაიწყო და 1838,2 ათასი ლარის სამუშაოები (მთლიანი ღირებულების 81,7%) ისე ჩაატარა, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ გააჩნდა. თუმცა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს აქტში მითითებული სამუშაოს სახეობები, მოცულობები და ერთეულის ფასები ფაქტობრივად ემთხვევა საპროექტო ორგანიზაციის მიერ შემდგომ პერიოდში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამის მონაცემებს.

2012 წლის 21 სექტემბერს მიმწოდებელმა წერილით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და მოითხოვა სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევა, რის ძირითად მიზეზად დასახელებულია შემსყიდველის მხრიდან მშენებლობისათვის ექსპერტიზაგავლილი ტექნიკური დოკუმენტაციის არ წარმოდგენა. ურთიერთშეთანხმებით, სამუშაოს დასრულების ვადამ 2012 წლის 25 სექტემბრის ნაცვლად გადაიწია 20 ოქტომბრამდე.

2012 წლის 27 სექტემბერს მათ კვლავ მიმართეს მუნიციპალიტეტს და მოითხოვეს საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე 1838,2 ათასი ლარის შესრულებული სამუშაოების მიღება შემდგომი ანგარიშსწორების მიზნით. მართალია, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა, მაგრამ

მუნიციპალიტეტმა მის გარეშე, ხელშეკრულების პირობების დარღვევით¹⁰, მაინც განახორციელა ანგარიშსწორება და 2012 წლის 29 სექტემბერს ჩაურიცხა 712,7 ათასი ლარი. მანამდე კი - შპს „არნაბი-21“- ს ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული ჰქონდა საავანსო თანხის 50%, ანუ 1125,5 ათასი ლარი.

ვადის გადაწევის მიუხედავად, შპს „არნაბი-21“- მა მაინც არ შეასრულა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 19 დასახელების 47,7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. 8 დასახელების 130,4 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებიდან შეასრულა 84,5 ათასი ლარის სამუშაოები, ანუ 45,9 ათასი ლარით ნაკლები, ხოლო 4 შემთხვევაში - 230,1 ათასი ლარის სამუშაოების ნაცვლად შესრულებულია 266,3 ათასი ლარის სამუშაოები, ანუ 36,1 ათასი ლარით მეტი. მთლიანობაში, შეუსრულებელი დარჩა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 69,5 ათასი ლარის საგზაო სამუშაოები. აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით ხელშეკრულებას არ ახლავს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმება. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრებმა მთლიანად შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმეს 2012 წლის 1 ნოემბერს. შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით შესრულებამ მხოლოდ 2178,2 ათასი ლარი შეადგინა (მთლიანი ღირებულების 96.8%). მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად ხელშეკრულების შესაბამისად შესრულდა „რგანი-ხრეთის“ 9,5 კმ სიგრძის საავტომობილო გზის სოფელ რგანის ცენტრიდან სოფელ ხრეთის ცენტრამდე მონაკვეთის სამუშაოები არსებული პროექტის შესაბამისი პარამეტრებისა და ხარისხის მიხედვით. ამავე დროს ხელშეკრულებითა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების არასრულყოფილად შესრულებაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ 2012 წლის 13 ნოემბერს შპს „არნაბი-21“-თან გაფორმდა ახალი ხელშეკრულება იმავე გზაზე, კერძოდ, სოფელ ხრეთში 1,6 კმ გზის რეაბილიტაციის დამატებითი სამუშაოების გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვაზე. ხელშეკრულების ჯამურმა

¹⁰ ხელშეკრულების მიხედვით ანგარიშსწორებისათვის საჭირო იყო მიღება ჩაბარების აქტი თანმდევ დოკუმენტაციით.

ღირებულებამ 69 ათასი ლარი შეადგინა. ახალი ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა ისეთ სამუშაოებს, რომელთა გარკვეული ნაწილი წინა სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით არ შესრულდა. კერძოდ, 500 მმ-იანი ლითონის მილების მოტანა და მონტაჟი, 236,2 მეტრის ნაცვლად განახორციელა 170 მეტრზე, სადაც ერთეულის ფასი შეადგენდა 129,8 ლარს.

ახალი ხარჯთაღრიცხვით კი ერთეულის ფასმა 154 ლარი შეადგინა. ფასთა სხვაობის გათვალისწინებით, 246 გრძ/მ 500 მმ-იანი ლითონის მილების თხრილში ჩაწყობის ღირებულებამ 31,9 ათასი ლარის ნაცვლად შეადგინა 37,9 ათასი ლარი, ანუ 5,9 ათასი ლარით მეტი.

შპს „ავტობანი“

შპს „ავტობანთან“ 2012 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ სვერის ცენტრიდან სოფელ ცხრუკვეთში წერეთლების სახლმუზეუმამდე 4,5 კმ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. შპს „ავტობანმა“ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე, რადგან ის საპროექტო ორგანიზაციამ მუნიციპალიტეტს მიაწოდა 2012 წლის 10 სექტემბერს. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1 566,5 ათასი ლარი. სამუშაო უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 15 სექტემბრამდე. მიმწოდებლის წერილისა და გამგეობის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სამუშაოს დასრულების ვადამ გადაიწია იმავე წლის 1 ოქტომბრამდე.

სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტს წერილით მიმართა 2012 წლის 4 ოქტომბერს (თუმცა სამუშაოები 1 ოქტომბრისთვის უნდა დასრულებულიყო), სადაც აღნიშნულია, რომ სოფელ ცხრუკვეთის მოსახლეობის მოთხოვნით და პროექტანტის, შპს „კოქს კონსალტის საქართველოს ფილიალის“ 2012 წლის 2 ოქტომბრის წერილის საფუძველზე ხარჯთაღრიცხვაში შედიოდა ცვლილებები. შესრულებული სამუშაოების აქტის

მიხედვით, ეს ცვლილებები განხორციელებულია, თუმცა ხელშეკრულებას არც ამ ცვლილებების დანართი ახლავს და არც შესწორებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაა წარმოდგენილი. არსებული ხარჯთაღრიცხვით კერძო მისასვლელების მოწყობაზე გათვალისწინებული იყო 405 გრძ მეტრის 500 მმ-იანი ლითონის მილების მოტანა და მონტაჟი, ერთეულის ფასით 129,8 ლარი, საერთო ღირებულებით 52,6 ათასი ლარი (დღგ-ის გარეშე). მათ ნაცვლად შესრულებული სამუშაოების აქტში მითითებულია 405 გრძ მეტრის 250 მმ-იანი ლითონის მილების მოტანა და მონტაჟი, ერთეულის ფასით 124,8 ლარი, (ასეთი დიამეტრის მილების ღირებულებას ხარჯთაღრიცხვა არ ითვალისწინებდა), საერთო ღირებულებით - 50,6 ათასი ლარი (დღგ-ის გარეშე). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 500 მმ-იანი მილების მოცულობა 4-ჯერ აღემატება 250 მმ-იანი მილების მოცულობას, ამიტომ მისი ღირებულება გაცილებით ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე შესრულებული სამუშაოების აქტშია მითითებული.

საბოლოოდ შპს „ავტობანმა“ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, შეუსრულებელი დატოვა 73,9 ათასი ლარის სამუშაოები, ზედმეტად შეასრულა 75,9 ათასი ლარის სამუშაოები და ნაწილობრივ შეასრულა 2 ათასი ლარით ნაკლები სამუშაოები. შპს „ავტობანმა“ სახელშეკრულებო ღირებულებით გათვალისწინებული 1 566,5 ათასი ლარის შესრულებული სამუშაოების აქტი 2012 წლის 30 ოქტომბერს წარუდგინა მუნიციპალიტეტს. იმავე დღეს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრების მონაწილეობით, რომელთაც შენიშვნები ხარჯთაღრიცხვასა და შესრულებული სამუშაოების შეუსაბამოებთან დაკავშირებით არ გამოუთქვამთ. სამუშაოების დასრულების 27 დღით ვადაგადაცილებისთვის შპს „ავტობანი“ დააჯარიმეს 42,4 ათასი ლარით, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხეს 2012 წლის 14 ნოემბერს.

ზემოთ აღნიშნული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, შპს „არნაბი-21“-თან და შპს

„ავტობანთან“ ხელშეკრულებები გაფორმდა 2012 წლის 1 აგვისტოს გამარტივებული შესყიდვის გზით, მაგრამ ხელშეკრულებებში ასახული არ არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანებით¹¹ გათვალისწინებული პირობები. ამ ბრძანების პირობების შესრულება არც გამგეობას მოუთხოვია. შედეგად ობიექტების მიღება-ჩაბარება განხორციელდა ისე, რომ მიმწოდებლებიდან წარმოდგენილი არ ყოფილა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ და საიჯარო ურთიერთობებთან დაკავშირებით. რომელთა წარმოდგენის გარეშე ვერ დგინდება, შესრულებული სამუშაოების ღირებულების ამსახველი დოკუმენტები რამდენად შეესაბამება ამ ბრძანების მოთხოვნებს. ჩვენი წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ჭიათურის გამგეობამ ოფიციალურად მიმართა მიმწოდებლებს სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტები მოწოდებული ვერ იქნა.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენა-მომზადებისას მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები არ ითვალისწინებენ:

- ✓ ტენდერებზე კონკურენციის შედეგად დაფიქსირებულ დაბალ ფასებს.

¹¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანებით დამტკიცდა სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) უნდა დარიცხოდან მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში შესაბამისად არა უმეტეს 10% და 8%. სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯების და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე.

✓ ცალკეულ შემთხვევაში მათ მიერ მომზადებულ ხარჯთაღრიცხვებში მომსახურებისა და მასალების ერთეულის ფასების რეალობის დადგენა ვერ ხერხდება და იგი შეუსაბამოა საბაზრო ფასებთან.

✓ მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით სრულყოფილად შედგენილი სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის წარდგენა საპროექტო ორგანიზაციებიდან უმეტესწილად არ ხდება დროულად შესაბამისი წერილის საფუძველსა და ხარჯთაღრიცხვებზე საერთოდ არ არის მითითებული მათი შედგენის თარიღი.

სანიაღვრე არხების გაწმენდა

ქალაქის ტერიტორიის სანიაღვრე არხების გაწმენდის სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვაზე ეპმ-ის საშუალებით, მუნიციპალიტეტსა და შპს „ჭიათურსერვის“ შორის 2010 წლის 4 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ 5,0 ათასი ლარი შეადგინა. 2010 წლის 17 თებერვალს გაფორმებული შეთანხმების აქტით, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება გაიზარდა 41,5 ათასი ლარით და შეადგინა 46,5 ათასი ლარი. თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვით სანიაღვრე არხებიდან 1კუბ.მ ბალასტის გაწმენდა-გატანის ერთეულის ფასი შეადგენდა 9,44 ლარს, ხოლო შეთანხმების აქტის გაფორმების შემდგომ - შპს „საპროექტოს“ მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით აღნიშნული სამუშაოს ერთეულის ფასმა 15,9 ლარი შეადგინა, რამაც მნიშვნელოვნად გააძვირა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

მინი სპორტული მოედნების მოწყობა

ელექტრონული ტენდერის საშუალებით ჭიათურაში მინი სპორტული მოედნების მოწყობის სახელმწიფო შესყიდვაზე 2012 წლის 13 ივნისს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „მშენებელი XXI“-ს. ანალოგიურ საქმიანობაზე მათ შორის 2012 წლის 17 აგვისტოს გაფორმდა კიდევ ერთი

ხელშეკრულება. ორივეჯერ, ამ ელექტრონულ ტენდერებში კონკურენტების მონაწილეობის გარეშე, გაიმარჯვა შპს „მშენებელი XXI“-მა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ერთგვაროვან სამუშაოებზე მათ სხვდასხვა ფასები აქვთ გამოყენებული. კერძოდ, 450 კვ.მ ხელოვნური მინდვრის საფარის მოწყობაზე პირველ შემთხვევაში, სოფრომადის ქუჩაზე მასალის ერთეულის ფასი შეადგენდა 35,0 ლარს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბარათაშვილისა და გოგებაშვილის ქუჩებზე მასალის ერთეულმა ფასმა შეადგინა შესაბამისად 19 და 20 ლარი.

საგზაო სამუშაოების ხარჯთაღიცხვები

შპს „კოქს კონსალტის საქართველოს ფილიალს“ საგზაო სამუშაოებზე სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას მასალის ფასებში გათვალისწინებული აქვს ტრანსპორტირების ხარჯებიც. წარმოდგენილ ხარჯთაღიცხვებს არ ახლავს გაანგარიშებები და განმარტებები, გარდა ტრანსპორტირებისა, თუ რა დანახარჯებს შეიცავს ზოგიერთი მასალის ფასები. კერძოდ: ხარჯთაღიცხვის მიხედვით, გზის მოხრეშვით სამუშაოებზე ღორღისა და ქვიშა-ხრეშოვანი საფუძვლის დაგებისას მათი 1 კუბ.მ-ის ღირებულება დღგ-ის გარეშე შესაბამისად შეადგენს 48,49 და 35,08 ლარს, არსებულ საფუძველზე ქვიშა-ხრეშის ნარევით შემასწორებელი ფენის მოწყობისას 1 კუბ.მ-ის ღირებულება იყო 30,45 ლარი, ქვიშა-ღორღოვანი (0-40) მასალით საფუძვლის მოწყობისას 1 კუბ.მ-ის ღირებულებამ 78,95 ლარი შეადგინა. გზის სამუშაოებზე რადგან ძირითადად გამოყენებული იყო ადგილობრივი კარიერების ინერტული მასალები, მათი ღირებულება გამოყოფილი არ არის ცალკე და ვერ დგინდება, მასში გათვალისწინებულია თუ არა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანების¹² პირობები, რომლის მიხედვითაც ჭიათურის მინიციპალიტეტი გათავისუფლდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან სამი თვის ვადით.

¹² საქართველოს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 20 აგვისტოს N266 ბრძანება

მასშტაბის შეზღუდვა

2010-2012 წლებში ქიათურის მუნიციპალიტეტიდან სამართალდამცავი ორგანოების მიერ შესაბამისი აქტების საფუძველზე ამოღებულ იქნა რიგი შესყიდვების დოკუმენტები.

2010 წელი: ხელშეკრულება № 115; 116; 117; 118; 120; 122; 124; 128; 129; 137; 138.

აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებს.

2011 წელი: ხელშეკრულება № 89; 98; 101; 108; 142; 145; 180.

აქედან, №145 და №180 ხელშეკრულება აერთიანებს ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოებს დანარჩენი კი მოდის წყლისა და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

2012 წელი: საწვავის შეძენის განაწილებისა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მივლინებებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კულტურული ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების ამსახველი დოკუმენტიცია.

აღნიშნულ შესყიდვებზე სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო, მათი აუდიტი არ ჩატარებულა.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ქიათურის მუნიციპალიტეტის საქმიანობა 2010-2012 წლებში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი:
ზურაბ ქათამაძე



ხელმოწერა 27.11.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
ზურაბ ზუმბაძე



ხელმოწერა 27.11.2013 თარიღი